ოქმი:**ო37. 37263083**

თარიღი:**04/11/2026**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ ლელა მესხის**

**ანგარიშის მოსმენის სხდომის**

**ოქმი**

2026 წელი, 29 ოქტომბერი
სოფელი მთისპირი
10:00 -12:00-საათი

**თავმჯდომარეობდა:** დავით კიკვაძე -მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

**ესწრებოდნენ :** საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები, უმრავლესობის ლიდერი ქეთევან ხომერიკი.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დავით კიკვაძე მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს მოკლე ინფორმაცია მიაწოდა ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე, მიღწევებსა და წარმატებებზე, გამოწვევებსა და პრობლემებზე - აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. აღნიშნა, რომ ლ. მესხი არის პასუხისმგებლიანი, ორგანიზებული, საკრებულოს მაჟორიტარი წევრი, აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების მუშაობაში, გამოირჩევა ამომრჩევლებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით.

ამომრჩევლებს ქვეყანაში არსებულმდგომარეობაზე, მიღწევებსა და წარმატებებზე, არსებულ პრობლემებზე ესაუბრა უმრავლესობის ლიდერი წ. ხომერიკი.

საკრებულოს წევრმა ლ. მესხმა საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში. ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, მომავალ სამოქმედო გეგმაზე. ამომრჩევლებმა

დააყენეს შიდა გზების მოხრეშვა-სანიაღვრე არხების გაწმენდის, წყალმომარაგების გაუმჯობესების, სათავე ნაგებობის გაწმენდის, საჯარო სკოლის რეაბილიტაციის, საბავშვო ბაღის აშენების, ცენტრალური და უკანავას უბნის გზების რეაბილიტაციის, ყოველდღიური მოხმარების საქონლის მაღაზიის გახსნის საკითხები.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. განაცხადეს, რომ საკრებულოს წევრის ლ. მესხის საქმიანობა უნდა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად. ამომრჩევლებმა აღნიშნეს-საკრებულოს წევრი არის ამომრჩევლებისადმი ყურადღებიანი, არ იმსახურებს შენიშვნებს ამომრჩევლების მხრიდან, პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დავით კიკვაძე და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დავით კიკვაძის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით კიკვაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი